დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ჭიაბერაშვილი

წევრები:

მაკა კანდელაკი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ნინო ფსუტური-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკა უთალიშვილი- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო მგალობლიშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მაკა აფრიამაშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამ ჯვარიძე- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია კურტანიძე - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**232004586**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელი სიქთარვა
იურიდიული მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელი სიქთარვა
ფაქტობრივი მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელი სიქთარვა
საფოსტო ინდექსი	**2416**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**-**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Siktarva@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577973308**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0000899399 09.07.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10,11 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია ნაყოფიერი და თანამშრომლობითი იყო. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია.სკოლაში ტრადიციულადაა დამკვიდრებული საზაფხულო ბანაკები, ინტელექტუალური თამაშები, რომლებიც მოსწავლეთა
განვითარებას ემსახურება. აღნიშნულ აქტივობებს ხელმძღვანელობენ მასწავლებლები. 2023 წლის მაისის თვიდან ,,მშვიდობის კოპრპუსის" ამერიკელი მოხალისე ხელს უწყობს სკოლაში არაფორმალურ განათლებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გამოავლენს ,,რა,სად, როდის" თამაშების საუკეთესო მოაზროვნეს, რომელსაც სიმბოლურად გადასცემს ,,ბუს", საუკეთესო მოაზროვნის ტიტულის დამადასტურებელ დიპლომს, ასევე გამორჩეულ მოსწავლეებს წაახალისებს მხატვრული წიგნებით.
სკოლაში ფიზიკის მასწავლებლის მიერ შექმნილია წრე ,,ნორჩი ფიზიკოსი", ბიოლოგიისა და სამოქალაქო მასწავლებლის მიერ ,,ეკო კლუბი". ინგლისური მასწავლებელი ახორციელებს მრავლფეროვან აქტივობებს, მათ შორის საერთაშორისო აქტივობებს-მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მეხუთე-მერვე კლასის მოსწავლეები ჩართულნი არიან ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში მდგრადი განვითარების მიზნებისთვის მოსწავლეები აღნიშნულ აქტივობას ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებშ რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა/მიწერილობა 2023 წლის 10 ოქტომბრამდე.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი NN3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს სამუშაო დროის აღწერის ფორმა.„სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ფორმა,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესაბამისად.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებშ	სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა, გამოყოს ფართი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გასამართად,სადაც იქნება ხელსაბანი
ინდიკატორი N3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლას მიეცა რჩევა შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი NN4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებების საკონსტატაციო ნაწილში გაასწოროს მითითებული საკანონმდებლო ნორმა.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი- საბაზო-საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი **2.1.2.3**	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	იმისათვის რომ სწავლა-სწავლების პროცესი კიდევ უფრო მეტად მოსწავლეზ და გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად წარიმართო მნიშვნელოვანია სკოლამ, ლაბორატორიისთვის გამოყოს ერთი ოთახ ,რომელშიც იქნება სველი წერტილი,სარკმელი რომელიც იღება და ნიავდებ ოთახი.შეიძინოს სინათლის მიკროსკოპი ,რომლითაც შეძლებენ სხვადასხ ტიპის მიკროპრეპარატის დათვალიერებას, ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივებ
ინდიკატორი 2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	დაწესებულებას მიეცა რჩევა, სასწავლო წლის დაწყებამდე, დირექტორ ბრძანებით შეიქმნას ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც დეტალურად კათედრების მიხედვით გაწერს სამოქმედო გეგმას და აამოქმედებ დოკუმნეტში გაწერილ მექანიზმებს სასკოლო პრაქტიკაში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

- ინდიკატორი **3.4.1.1** რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც **,,მეტწილად შესაბამისი**“ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;
- გარკვეული ინდიკატორები (**1.2.1.2; 1.2.1.4 ; 3.1.2.3; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5**) შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო როგორც ,,დასრულებული“ - ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (საკანონმდებლო აქტები, დანართები, ცვლილების დოკუმენტები და ა.შ) და დაადგინეს **შესაბამისობა** მითითებული ინდიკატორების შესრულების შესახებ.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2016-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში დეკლარირებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სასურველია სკოლის ხედვა იყოს გაზომვადი და მასში ხაზგასმული იყოს რომელი მიმართულებით იქნება სკოლის საქმიანობა მეტად გააქტიურებული მინიმუმ შვიდწლიანი პერიოდის მანძილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ექიმის ოთახი შესაბამისი აღჭურვილობითა და პერსონალით. სიქთარვის საჯარო სკოლას მესამე სასწავლო წელია სკოლის ექიმი ემსახურება. მოსწავლეებს იგი ძალიან ხშირად ესაუბრება ჯანმრთელობის საკითხებზე. მოსწავლეები ამ მხრივ ნადვილად დაცულად გრძნობენ თავს. ექიმი საინფორმაციო აქტივობას ხშირად ატარებს მოსწავლეებთან. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები, სკოლის სხვადასხვა ლოკაციაზე მორიგეობენ თანამშრომლები, ეზოს გარე პერიმეტრი შემოღობილია და მხოლოდ ერთი შემოსასვლელი ჭიშკარი აქვს, რაც მუდმივად კონტროლდება. რაც შეეხება პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლაში არსებობს და მუდმივად ფუნქციონირებს რესურს-ოთახი, ინგლისურის კაბინეტი, ერთ-ერთ სარეკრეაციო სივრცეში განთავსებულია ინტელექტუალური თამაშებისთვის ,,რა, სად, როდის“ განკუთვნილი ინვენტარი, სადაც პარასკეობით იმართება თამაშები, ასევე მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სისტემატურად ხორციელდებოდა პროექტები როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების ინიციატივით. მოსწავლეების პიროვნულ. განვითარებას ემსახურება პროექტ-გაკვეთილები. მიმდინარე სასწავლო წელს სიქთარვის საჯარო სკოლაში შეიქმნა ეკო კლუბი ,,მწვანე ეზო“, მკითხველთა კლუბი, თერჯოლის საბავშვო ბიბლიოთეკაში მე-6 კლასის მოსწავლეებმა პროექტი წარადგინეს-,,მეფე დავით აღმაშენებელი“. სიქთარვის საჯარო სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს ჩაერთო ილინოისის უნივერსიტეტის ურბანული კამპანიის პროექტში. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი განვითარების მიზნებსა და მათ მნიშვნელობაზე. საქართველოს

ამ პროექტში წარმოადგენდა სიქთარვას საჯარო სკოლა (მეხუთე, მეექვსე და მერვე კლასის მოსწავლეები). პროექტში ჩართულნი არიან წარმომადგნლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ტრადიციულადაა ცნობილი მათემატიკის კონკურსი ,,ეძებე მათემატიკის სიყვარულით", რომელიც ერთკვრიანი პროექტია. სკოლის მოსწავლეების მიერ მასწავლებელთა ინიციატივით აღინიშნება ყველა მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნავი დღე, რაც უზრუნველლყოფს მოსწავლის კულტურულ განვითარებას. სკოლის განსაკუთრებულ პრაქტიკად შეიძლება თამამად დასახელდეს ყოველწლიური საზაფხულო ბანაკი, რომელიც რაიონის მოსწავლეებს მასპინძლობს და უამრავი საინტერესო ღონისძიებითაა დატვირთული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას არ წარმოუდგენია მისიისა და ხედვის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებები, თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სამუშაო პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა , რომ სკოლაში გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, დემოკრატიულო მართვის სტილი წარმოადგენს ყოველდღიურობას და სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას არ წარმოუდგენია მისიისა და ხედვის შექმნის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მტკიცებულებები, თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სამუშაო პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა , რომ სკოლაში გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, დემოკრატიულო მართვის სტილი წარმოადგენს ყოველდღიურობას და სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილს.ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ფოიეში გამოკრულია სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, ასევე გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე. ამდენად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, თუმცა 2023 წლის დეკემბრის ბოლოსთვის სკოლა გეგმავს ვებგვერდის შექმნას და მასზე აუცილებლად განთავსდება სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და ყველა სასკოლო - საკანონმდებლო დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ"-აღნიშნული დოკუმენტებით სკოლის სახელწოდებაა ,,სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა". შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ექვსწლიანი (2016-2022) სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის მისია ხედვა ღირებულებები
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, (2023 წლის 31 ივლისის ბრძანება #36-ის დანართი), რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის,დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი. დოკუმენტში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგი ქვეპროცესები :

- ✓ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცებისპროცესი;
- ✓ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- ✓ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
- ✓ სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშისმომზადების პროცესი.

პროცესში ჩართულ მხარეებს წარმოადგენენ:

- ✓ სკოლის დირექცია;
- ✓ სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი,მოსწავლე /მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- ✓ თემი
- ✓ სამეურვეო საბჭო

მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მისი გაზიარებულობის მექანიზმები:

- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ ელექტრონული ფოსტა;
- ✓ დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;დ) პორტალი ვებგვერდზე;
- ✓ სოციალური მედია;
- ✓ საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;ზ) ბეჭდვითი მასალები - ე.წ."ხილვადი მასალა" .

ამავე დოკუმენტში აღწერილია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და საქმიანობის წესი და პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას არ წარმოუდგენია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა სასკოლო დოკუმენტაციაში და ადგილზე ვიზიტისას ვნახეთ ექვსწლიანი , 2016-2022 წლების სტრატეგიული განვითრების გეგმა , რომელშიც მოცემულია სამი სტრატეგიული მიმართულება:
   - სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;
   - სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა;
   - სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

   პირველი და მეორე სტრატეგიული მიმართულება წარმოდგენილია სამ-სამი, ხოლო მესამე - ოთხი მიზნით. ყველა მიზანი მოიცავს ამოცანებსა და ქვეამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს. აღნიშნულ სტრატეგიულ გეგმაში ვერ ვხედავთ შესრულების ვადებს.

   სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და ასევე დირექტორის ბრძანებით შექმნილი სანუსაო ჯგუფის მიერ დაგეგმილი გრაფიკი, რომელსაც დაწყებული აქვს მუშაობა დაწესებულების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ გაწერილ გეგმაში 2023 წლის სექტემბრიდან მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილია მთელი რიგი აქტივობები, რომელიც სრულდება 2023 წლის დეკემბერში სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის სამურვეო საბჭოსთან შეთანხმებითა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებით.

   სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა.ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.
3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ძირითადად შესაბამისობაშია არსებულ ექვსწლიან სამოქმედო გეგმასთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი. მასში გაწერილია დაწესებულების გამართულად ფუნქციონირებისათვის არსებითი ამოცანები და აქტივობები. სკოლის დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პარალელურად და მის შესაბამისად შეიქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თავისი ამოცანებით, აქტივობებით, ვადებით, პასუხისმგებელი პირებით, შესრულების ინდიკატორებითა და საჭირო რესურსების მითითებით. სკოლის დირექცია ფლობს ყველა თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას აღნიშნულის უზრინველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედი გეგმაში (2022-2023 სასწავლო წელი) წარმოდგენილია ამოცანები,

აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, არ არის წარმოდგენილი შესრულების ინდიკატორები და რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით ახალი , 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა იქნება სრულ შესაბამისობაში აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან.

სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა
- 2023 წლის სეტემბერ-დეკემბრის სამუშაო გეგმა
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. .სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ-იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურად, ხოლო შეფასება სტრატეგიული

გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ: მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. მეთოდოლოგგის თანახმად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**

2. **ინდიკატორი არ ფასდება;**
3. სკოლის მიერ წარმოდგენილ **2022 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმის დანართში „ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლ სიქთარვას საჯარო სკოლა 2021-2022 სასწავლო წლის განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი“** იკვეთება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის არსებობა და მისი საჯაროობა. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2021 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ანგარიში , სადაც დეტალურადაა აღწერილი 2021-2022 სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. წინა ინდიკატორის აღწერის მსგავსად, აქაც , სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით: 2021- 2022 სასწავლო წლის სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებით და სკოლის დირექტორთან გასუაბრებით დგინდება , რომ სკოლას გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის მნიშვნელობა და იყენებს მას სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- 2022 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმის დანართი „ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლ სიქთარვას საჯარო სკოლა 2021-2022 სასწავლო წლის განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი“;
- 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი სკოლის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები, ანგარიშგება და შესრულების შეფასება.
სამეურვეო საბჭო- ამ ეტაპისთვის 8 წევრისგან შედგება: 3 მასწავლებელი, 3 მშობელი, 1 მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და 1 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი.
სკოლის დირექცია შედგება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ბუღალტრისგან.სკოლას არ აქვს მოადგილის შტატი.დირექტორის არყოფნის პერიოდში მისი მოვალეობა დაკისრებული აქვს პირს, რომელიც დირექტორის ბრძანებითაა განსაზღვრული და დარეგისტრირებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, როგორც დირექტორის არყოფნის პერიოდში დროებით მოვლეობის შემსრულებელი პირი.
ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი,
პედაგოგიური პერსონალი შედგება - 24 მასწავლებლისაგან; 2 უსტატუსო, 1 მენტორი, 7 წამყვანი დანარჩენი უფროსი, ასევე 1 სპეციალური მასწავლებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის,მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის, დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.
კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით.
სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.
სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება.სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას. ფინანსურ პოლიტიკას უზრუნველყოფს სკოლის ბუღალტერი, რომლის ფუნქციები დარეგულირებულია ხელშეკრულებით, მასვე ევალება სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელების მიზნით შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge; ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი.კლასის დამრიგებლები სკოლაში ცხადდებიან სადამრიგებლო კლასის გაკვეთილების დაწყებამდე და რჩებიან მათი გაკვეთილების დამთავრებამდე, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მორიგეობის განრიგი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის სტრუქტურა**
- **შინაგანაწესი.**
- **სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი**
- **თვითმართველობის დებულება.**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი**
- **კათედრების ოქმები**
- **კათედრის დებულება**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები**
- **ბრძანება N1კ-66 „მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“**

- ბრძანება N1კ-03 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“
- ბრძანება N2-52 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“
- ბრძანება N2-53 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის პედსაბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.
სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
შინაგანაწესით განსაზღვრულია:
ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობა; ბ) სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება; გ) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო;დ) დასვენების ხანგრძლივობა; ე) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ვ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ზ) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; თ) შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა; ი) შრომის პირობების დაცვის წესები; კ)

წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; ლ) მატერიალური პასუხისმგებლობა; მ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; ნ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ო) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს სამუშაო დროის აღწერის ფორმა.„სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ფორმა,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:
ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს.
ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ შემდეგ ვალდებულებებს: ა) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებში. ბ) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში; გ) მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში; დ) მონაწილეობენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში; ე) მოთხოვნის შემთხვევაში, პირადად აცნობებენ მასწავლებელს ხარისხის ჯგუფის რეკომენდაციებს და აძლევენ მას ყველა საჭირო განმარტებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი.

სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის.სკოლას ყავს 2 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებზეც ორჯერ აქვს გამოცხადებული ვაკანსია,არ დარეგისტრირდა არცერთი კანდიდატი.სექტემბერში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი სპორტის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად.რაც დასტურდება http://teacherjobs.ge/ -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტაციით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ასევე კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის

შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები და ნასამართლეობის შესახებ ცნობები. სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.**სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა მასწავლებლების ცნობები საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ.ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 34 თანამშრომელი, ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. სკოლას ჰყავს 2 უსტატუსო მასწავლებელი, რომელთა ხელშეკრულებაში მითითებულია კონკურსის წესით ვაკანსიის შევსებამდე.სკოლას ორჯერ აქვს გამოცხადებული ვაკანსია,არ დარეგისტრირდა არცერთი კანდიდატი.

მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს.მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექიმის კვალიფიკაცია.

სკოლას არ ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი და ასევე არ ჰყავს მოწვეული მასწავლებელი.

სკოლას პერსონალის ფუნქცია- მოვალეობებთან ერთად გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.მასწავლებლების და ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა)

მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჰყავს ორი სტიპენდიანტი მოსწავლე.(სტიპენდია მათ დაუნიშნა სოფლის მკვიდრმა).
მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ განსაკუთრებული ღვაწლის გამო განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭებაზე წარადგინა ინგლისურის მასწავლებელი. მას უკვე მიენიჭა მენტორის სტატუსი.
2023 წლის 16 მაისიდან სკოლაში ორი წლის განმავლობაში ითანამშრომლებს ,,მშვიდობის კორპუსის" ამერიკელი მოხალისე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ბრძანება N2-31 დანართი.**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება**
- **შინაგანაწესი**
- **პერსონალის ფუნქცია- მოვალეობები**
- **სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში სპორტის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი**
- **ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი N3**
- **ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან**
- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (2020 წლის N1კ-63) შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლაში შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამ პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-5 თავია პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება.სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლა თანამშრომელთა,როგორც მასწავლებელთა ასევე პერსონალის საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:
· რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
· რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

სკოლას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები;). ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა,რომელიც ეხება როგორც მასწავლებლებს, ასევე პერსონალსაც. საჭიროების შემთხვევაში. სკოლის ბუღალტერი და ექიმიც ესწრებიან ტრენინგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა".დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები.სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი.სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზეც.სკოლამ საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა ბუღალტრის ტრენინგები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ -ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება,რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ,(ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი)რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბი ,,პატარების პარლამენტი", პატარა ადამიანების დიდი უფლებები"და სხვა. ეკოკლუბი ,,მწვანე ეზოს" ფარგლებში ვიზიტი თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის ეკო- კლუბთან და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2023 წლის 20 ივლისის ბრძანება N2-31"სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ"**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **შინაგანაწესი;**
- **დამრიგებლის პორტფოლიო;**
- **ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;**
- **ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;**
- **სოციალური ქსელი;**
- **ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;**

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას შექმნილი აქვს გასაჩივრების წესი.დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. შინაგანაწესის 26-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს:ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის №2-10 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. მე-5 მუხლია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია. მე-7 მუხლი მოიცავს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმას და პრინციპებს.

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- გასჩივრების წესი
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ N2-10
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი, მშობელთა კრების ოქმში დღის წესრიგის პირველი საკითხია, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა და სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის შინაგანაწესის გაცნობა.

მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; ამავე დებულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის,

ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას. მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი, და teams-ის პლატფორმაზე საგნობრივი ჯგუფები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. სამეურვეო საბჭოში არჩეულია სამი მშობელი-დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურიდან. ორი მშობელი არჩეულია დისციპლინურ კომიტეტშიც. მრჩეველთა საბჭოში ასევე არის რესურსცენტრის წარმომადგენელი . გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანიშნულია ერთი წევრი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დამრიგებლის პორტფოლიო**
- **მშობლებთან ურთიერთობის დებულება**
- **ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ N2-10**
- **თვითმმართველობის დებულება**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები**
- **პედსაბჭოს ოქმები**
- **მშობელთა კრების ოქმი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ინფრასტრუქტურა, ასევე ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ბრძანებით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირებიც სქესის მიხედვით. სკოლას ასევე N2-34 ბრძანებით დამტკიცებულია აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. მოსწავლეები მუდმივად არიან მეთვალყურეების ქვეშ, როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში. სკოლა აღჭურვილია მეტალოდეტექტორით, ხოლო შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. (8 კამერა). სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა

განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვიზუალური დათვალიერებით,შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. მაგრამ სკოლას არ აქვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.სკოლას აქვს წერილი მიწერილი სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების ცენტრთან, სადაც ითხოვს შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

სკოლაში სხვადასხვა ლოკაციაზე მორიგეობენ მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები დასვენებაზე სადამრიგებლო კლასებთან არიან.სკოლამ წარმოადგინა საგანგებო მართვის გეგმა,მაგრამ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან არ არის შეთანხმებული.სკოლას აქვს კომუნიკაცია შესაბამის ორგანოსთან, გაგზავნილი აქვს შესათანხმებლად წერილი შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან, თუმცა ჯერ პასუხი არ მიუღია.

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი, რომლის პირად საქმეში სხვა სერტიფიკატებთან ერთად, პირველადი დახმარების გავლის სერტიფიკატიც არის. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო.სკოლას სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

სკოლამ წარმოადგინა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში, სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.08.34.003), საჯარო სკოლის (განაშენიანების ფართობი 1357 კვ/მ) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ცნობა, სადაც ნათქვამია,რომ დასრულებული ობიექტი ვარგისიანია შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით.ცნობები.**სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი (შიდა ნომერი 1058831 (31/08/2023) და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად ასევე წარმოადგინა ხელშეკრულება სკოლასა და სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის,ხელშეკრულების საგანია -500 მ -ზე მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთანშესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. (შესრულების ვადა 2023 წლის 02 აგვისტო- 2023 წლის 10 ოქტომბრამდე). ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. რეგულარულად იმართება ბულინგის მიმართ პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. რეგულარულად ხდება მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების დადგენა. დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.
ხშირად ტარდება აქტივობები ბულინგის თემაზე.(პროექტები ატვირთულია სკოლის სოციალურ ქსელში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი).სკოლის სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზეც ასევე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: Teams-ის პლატფორმა,ელექტრონული ჟურნალი.
ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს .
ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).
სკოლის შესასვლელში ხორციელდება ვიზიტორების მონაცემების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. სკოლაში არსებული დოკუმენტაციისთვის გამოყოფილია სპეციალური, იზოლირებული ოთახი. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა იყენებს დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებს. ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება არქივთან და დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი გადაცემულია ეროვნული არქივისთვის. ყველა დოკუმენტის, რომელთა ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული, უსაფრთხო დაცვა უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
7. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება**
- **სადამრიგებლო პროგრამა;**
- **ბრძანება სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ N2-09**
- **დარაჯის ხელშეკრულება**
- **სოციალური ქსელი**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები;**

- „სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ ბრძანება N1კ-66
- „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანება N1კ-81
- N2-34 ბრძანების დანართი „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით შიდა ინსტრუქცია“
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში, სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.08.34.003), საჯარო სკოლის (განაშენიანების ფართობი 1357 კვ/მ) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ცნობა;
- მშობელთა თანხმობის ფორმა;
- ხელშეკრულება N25- საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელი სიქთარვის საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ სიქთარვაში.დაზუსტებული ფართობია 18132.00 კვ.მ. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა ორსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს.ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **118 მოსწავლე.** საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. პირველ სართულზე არის რესურს ოთახი,ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი, საკლასო ოთახები და სხვა დამხმარე სივრცეები. მეორე სართულზე არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია,რომელიც აღჭურვილია 8 კომპიუტერით და საკლასო ოთახები.ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ადაპტირებული სველი წერტილები და ასევე სივრცეები ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი სივრცეში ხელსაბანი, სკოლას მიეცა რჩევა გამართოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, ორივე სართულზე მოწყობილი სივრცეებით, სადაც მათი მონაწილეობით ხშირად იმართება სხვადასხვა შინაარსის აქტივობები. აღნიშნული სივრცეები სრულყოფილადაა მოწესრიგებული და დაცულია ჰიგიენის ნორმები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა არის სრულად რეაბილიტირებული და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სკოლაში არის ლიფტი, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების

გადაადგილება შენობის ორივე სართულზე. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. საპირფარეშოები, ორივე სართულზე, სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლაში არის გათბობის ცენტრალიზებული სისტემა, სკოლა მარაგდება წყლით და ელექტროენერგიით. სკოლას აქვს თანამედროვე ბიოსაკანალიზაციო სისტემაც. სკოლის ეზო სრულყოფილადაა მოწესრიგებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. სკოლას აქვს 2 პროექტორი და დიდი მონიტორი, რომლებსაც პედაგოგები ინტენსიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. სკოლა ფლობს მუსიკალური ცენტრს და 2 ცალ პრინტერს, რომლებიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი.სკოლის ერთ-ერთი სარეკრეაციო სივრცე მოწყობილია ინტელექტუალური თამაშის ,,რა? სად? როდის?“ -სთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. .მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს.

სკოლას მიეცა რჩევა შეიძინოს ნივთიერებათა ნაკრები საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- **სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი მიწერილობა;**
- **ექიმის ხელშეკრულება;**
- **სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ N02-44**
- **ბიბლიოთეკის დებულება**
- **ბრძანება N2-50 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“**
- **ბრძანება 2-52 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა.8 პერსონალური კომპიუტერი, აქვს 2 პროექტორი და ერთი დიდი ტელევიზორი,რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2.წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. დაწესებულებას აქვს „სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის დებულება კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის შესახებ “. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბრძანება 2-52 „სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“**
- **ტელევიზორის შესყიდვის დოკუმენტაცია**

- **კურიკულუმები**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შედგენილი და ბრძანებით N2-25 დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საქმისწარმოება. დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სრულყოფას და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამდეროვე მიღწევების გამოყენება/დანერგვას. სისტემატურად ხდება დოკუმენტაციის აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც მუდმივად აწარმოებს დოკუმენტაციის აღრიცხვას, მოწესრიგებას, კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანისისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვას, ინფორმაციის გაცემას, და დოკუმენტების შემოსული განცხადებაიქნება თუ წერილი რეგისტრირდება იმავე დღესვე. შემოსულ განცხადებაზე რეაგირება ხდება საჭიროებისამებრ ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ ვადებში, სკოლას დოკუმენტის წარმოების თვალსაზრისით აქვს ანგარიშვალდებულება და ეს ანგარიშვალდებულება წარმატებულად ხორციელდება, ცნობები გაიცემა ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. შემოსული და გასული დოკუმენტაცია ინახება ელექტრონულად, ზოგი-მატერიალურად. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ტარდება სპეციალურად განსაზღვრულ მატერიალურ ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური

ელექტონული ფოსტა:siktarva@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(E-school). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია, ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-25
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შეიქმნა ერთიანი ვებ გვერდი, სადაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება,თუმცა ჯერჯერობით სკოლა სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/profile.php?id=100064625862125, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. **სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა:**
ა) განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისთვის მიწერილი წერილი N1002377(16/08/2023), ვებ გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
ბ) სკოლის დირექტორის ბრძანება N 1/კ-22 10.08.2023 , ვებ გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
გ) https://skolebi.emis.ge/school ვებ გვერდის მისამართი.ინდიკატორი ფასდება როგორც „შესაბამისი“
2.სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია გამოკითხვის ელექტრონული ფორმა, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. სკოლა საკუთარ თუ სხვადასხვა სოციალურ ქსელში განთავსებულ ინფორმაციას დაწესებულების აქტივობების, მიღწევების,ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა აქტივობების შესახებ იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას სტუმრად ჰყავდა ამერიკის ელჩი ,აღნიშნული ვიზიტის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ,,მშვიდობის კორპუსისა“ და ამერიკის საელჩოს გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4.სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებული. ფეისბუქ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა, ვებ გვერდის მისამართი https://skolebi.emis.ge/school, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.ინდიკატორი ფასდება როგორც „შესაბამისი“**

5.სკოლას არ აქვს ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებული.**სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა, ვებ გვერდის მისამართი https://skolebi.emis.ge/school, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.ინდიკატორი ფასდება როგორც „შესაბამისი“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100064625862125**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მცირეკონტიგენტიანია.სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, სკოლას არ აქვს სხვა შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სამეურვეო საბჭოს ოქმი**
- **საპროგნოზო ბიუჯეტი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 15. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 20. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;

სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით.

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას,მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი**
- **მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **2022/23 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **კურიკულუმი**
- **ვიზუალური დათვალიერება**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი . სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა

გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებების საკონსტატაციო ნაწილში გაასწოროს მითითებული საკანონმდებლო ნორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად.(რუსული,ფრანგული, გერმანული) ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას.მოსწავლეებს აქვთ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევის შესაძლებლობა. როგორც მეორე უცხო ენის, ისე არჩევითი საგნების არჩევის დროს დგება ოქმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- E-school-ის ბაზა;
- მშობელთა კრების ოქმი N2 (არჩევითი საგნის არჩევა)
- მშობელთა კრების ოქმი N1 (მეორე უცხოური ენის არჩევა)
- ბრძანება N2-11 „სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ“
- სტატუსის შეჩერების დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების

თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას აქვს მოსწავლის კითხვარი ადაპტაციაზე, რომელსაც მოსწავლეები ავსებენ პირველი სემესტრის ბოლოს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2..სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ერთი სპეციალური მასწავლებელი,რომელიც საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე.დავალებების შეფასების კრიტერიუმები გამჭირვალეა და ცნობილია მოსწავლისთვის. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევევბის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია მშობელი, მათ აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. სპეციალური მასწავლებელი აქტურად თანამშრომლობს ცალკეული საგნის პედაგოგებთან სსსმ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. ისინი ესწრებიან საგნის მასწავლებლებსა და იმუშავებენ სტრატეგიებს, იძლევიან უკუკავშირს მოსწავლის განვითარებისათვის. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია.სკოლაში ტრადიციულადაა დამკვიდრებული საზაფხულო ბანაკები, ინტელექტუალური თამაშები, რომლებიც მოსწავლეთა განვითარებას ემსახურება. აღნიშნულ აქტივობებს ხელმძღვანელობენ მასწავლებლები. 2023 წლის მაისის თვიდან ,,მშვიდობის კოპრპუსის" ამერიკელი მოხალისე ხელს უწყობს სკოლაში არაფორმალურ განათლებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გამოავლენს ,,რა,სად, როდის" თამაშების საუკეთესო მოაზროვნეს, რომელსაც სიმბოლურად გადასცემს ,,ბუს", საუკეთესო მოაზროვნის ტიტულის დამადასტურებელ დიპლომს, ასევე გამორჩეულ მოსწავლეებს წაახალისებს მხატვრული წიგნებით.
სკოლაში ფიზიკის მასწავლებლის მიერ შექმნილია წრე ,,ნორჩი ფიზიკოსი", ბიოლოგიისა და სამოქალაქო მასწავლებლის მიერ ,,ეკო კლუბი". ინგლისური მასწავლებელი ახორციელებს მრავლფეროვან აქტივობებს, მათ შორის საერთაშორისო აქტივობებს-მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მეხუთე-მერვე კლასის მოსწავლეები ჩართულნი არიან ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში მდგრადი განვითარების მიზნებისთვის მოსწავლეები აღნიშნულ აქტივობას ესწრებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. აქტივობები, რომლებიც სკოლაში იმართება, ძირითადად მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აზრთა გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად ხორციელდება. სკოლას აქვს მოსწავლეთა კითხვარი ადაპტაციაზე, რომლის ანალიზს, სკოლა იყენებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა**
- **შინაგანაწესი**
- **განხორციელებული პროექტები**
- **თვითმმართველობის დებულება**
- **დამრიგებლის მუშაობის დებულება**
- **სოციალური ქსელი**
- **მოსწავლის კითხვარი ადაპტაციისთვის.**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა პროფესიული გზის განვითარებაზე დამრიგებლები ატარებენ კლასის საათის ფარგლებში. განსაკუთრებით აუცილებლობად თვლის სკოლა, მსგავსი საუბრები ჩაატაროს მე-9 და მე-12 კლასელებთან.
სკოლის მოსწავლეების იმყოფებოდნენ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში. სკოლის ოთხი მოსწავლისგან შემდგარმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მიერ გამართულ კონკურსში "მომავალი ეკონიმისტი" და მესამე ადგილიც დაიკავა დასავლეთ საქართველოს სკოლებს შორისარაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა.სკოლის კურსდამთავრებულებიგან აქტივობების ჩატარების პრაქტიკაც გააჩნია სკოლას. ისინი ურჩევენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, როგორ აირჩიონ სწორად პროფესია და აცნობენ თავიანთი ფაკულტეტების პრიორიტეტებსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (გამოკითხვა, ინტერვიუ, ჯგუფური დისკუსია და ა.შ.) მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სოციალური ქსელი**
- **განხორციელებული პროექტები**
- **ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან**

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 4 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი შეხვედრას მართავს სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ, შეხვედრების მიზანია მოსწავლის მიღევებზე საუბარი და ახალი საჭიროებების დადგენა, შესაბამისად, ისგ-ს ცვლილება. სსსმ მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სამ თვეში ერთხელ სპეციალური მასწავლებელი აწვდის წერილობით ინფორმაციას მოსწავლის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლაში ცნობიერების ამაღლების მიზნით იმართება ღონისძიებები. ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ N2-32
- ისგ გეგმები
- შიდა მონიტორინგის დასკვნა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მიეწოდება სასკოლო ტრანსპორტით მომსახურეობის სერვისი, რომელსაც ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფინანსებით. მაგრამ სკოლა უზრუნველყოფს კონტროლს სასკოლო ტრანსპორტში მოსწავლეების უსაფრთხოდ გადაადგილებისა და სერვისის სრულყოფილად მიწოდების შესახებ, საამისოდ სკოლას N1კ-08 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ევალება ყოველდღიურად მოახდინოს შესრულებული სატრანსპორტო

მომსახურების და ამ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის მონიტორინგი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საზაფხულო ბანაკში მონაწილეობის მიღებას. ბანაკის ორგანიზებას უზრუნველყოფს რამდენიმე მასწავლებელი. ბანაკი მსურველ მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად დაკომპლექტებულია ჯგუფებად, რომლებსაც ლიდერობენ სკოლის კურსდამთავრებულები და უფროსკლასელები. ბანაკის მიზანია მოსწავლეების განვითარების ხელშეწყობა როგორც შემეცნებითი, ასევე სპორტული და გასართობი აქტივობებით, რომლებიც წინასწარ არის ბანაკის ორგანიზატორებისა და ლიდერების მიერ დაგეგმილი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება N1კ-08 „ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - **(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები ითვალისწინებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს აგების, შემუშავების პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამებზე დაყრდნობით. სასკოლო საზოგადოება 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს დახვეწოს და შექმნას მეთოდოლოგიური დოკუმენტი. კათედრა საგნობრივი საკითხების საკლასო სივრცეში დასამუშავებლად და საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული მეთოდიკის გამოყენებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, სადაც გაითვალისწინეს თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება/ასახვის დასტურია , მაგალითად, მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- **ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

თითოეული პედაგოგი ცდილობს ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩაერთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ისინი, როგორც აღნიშნავენ, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო მუშაობის პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს

სხდომაზე . სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორს შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება #2 -35 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. (31.07.2023)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით
- დანართი 104. მეორე უცხოური ენის არჩევის ოქმი
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი #4 (29.06,2023)

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის/საგმობრივი ჯგუფის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს ყველა იმ ძირითად პრინციპს რაც მასშია მოთხოვნილი- დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებაზე და სწავლების პროცესი მიმართულია პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ.ასევე გათვალისწინებულია

ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი.ის რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც.ისინი საუბრობენ თუ როგორ მოხდება მომავალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვა მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების სფეროს გათვალისწინებით.აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე.ის რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მოწმობს ისგ, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი და აქვთ მზაობა, რომ მომავალშიც პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ მოწოდებულ,მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას,ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა. მაგ,მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში მუშაობას ან წყვილებში, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და საერთო მიზანზე ორიენტირებულობას.ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუტქი შესაქმენლი როგორიცაა მაკეტი, მოდელი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად,შეზღუდვების გარეშე. ასევე დაწყებითი საფეხურის ,თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწნებული თემები და საკითხები.მათ შორის არის სწორად დანახული კავშირი, რაც უზრუნველყოფს ესგ-ს გააზრებულ დანერგავს და საგნობრივი სტანდარტებით მოთხოვნილი მიზნების შედეგებში ასახვას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში- კურიკულუმის ჩარჩო, ისგ და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ სწვლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. საუბრისას ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც ბუნებისმეტყველებაში აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმენლი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში(ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ).ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სკოლის მზაობა შექმნან ისგ რომელიც დაეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას. ეს ყველაფერი ასევე გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელსაც. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი ხასიათის ასევე მსხვილ საკითხებზე გათვლილი და სტანდარტის მოთხოვნებს მორგებული. ამით დგინდება, რომ სამომავლოდ სკოლაში შეფასების პროცესი ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმაოდგენს. მასწავლებლებთან საუბრისას ირკვევა,რომ ისინი ქმნიან მიზნის შესაბამის რუბრიკებს,

სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აცნობენ მოსწავლეებს და შეფასებისას ცალსახად ეყრდნობიან. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების 4 ძირითადი პრინციპის დაცვას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აქვს გაწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის დანერგვა, შემდგომ მისი მონიტორინგი და შეფასება. ამ დოკუმენტის არსებობა, მასწავლბლებთან გასაუბრების დროს იკვეთება მათი წინარე გამოცდილება საკითხთან მიმართებით და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გაზიარება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ისგ-ს ნიმუშები
- დანართი 120-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 112-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 124- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

დაწყებითი საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება, მიუხედევად იმისა, რომ არ იყო „ ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართული სკოლა, ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და მათი გათვალსიწინებით დაგეგემათ სასწავლო პროცესი. იყენებდნენ კომპლექსური დავალებების ბანკს და ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (დანართი 114) არის დაწყებით საფეხურზე ჩატარებული ღონისძიებები, რაც ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. კერძოდ, ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში, რომელც მდგრადი განვითარების 17 მიზანზე იყო გათვლილი, საქართველოს წარმოადგენდა მხოლოდ სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლეები. ასევე გამოგზავნილია სააღდგომო მარათონი English book education- ში გამარჯვების, ქართული ენისა და დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ამსახველი ბმულები. სკოლის გამოცდილება, კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს, აღძრავს შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების ფორმაში წერია, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. დაწყებითი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. ასევე, მტკიცებულებად წარმოდგენილია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პროექტი ,,მსოფლიო არქიტექტურის შედევრების შესახებ“ , რომლის ფარგლებშიც მე-6 კლასის მოსწავლეებმა მოამზადეს და წარადგინეს პრეზენტაციები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მრავლადაა განხორციელებული პროექტები და არაფორმალური აქტივობები. მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. სამივე ცოდნის გამოყენებას უზრუნველყოფდა მეექვსე კლასში ჩატარებული ბუნებისმეტყველების შემაჯამებელი აქტივობა „ სუსტი რგოლის პრინციპით“ და პროექტი „ეძებე მათემატიკის სიყვარულით“. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად მითითებულია არსებული კომპლექსური დავალებების ბანკი, მაორგანიზებელი ცხრილები და სქემები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ამ მხრივ სკოლას აქვს პრაქტიკა. ილინოისის უნივერსიტეტის პროექტში, რომელც მდგრადი განვითარების 17 მიზანზე იყო გათვლილი, მოსწავლეთა ჩართულობა ინგლისურ ენაზე ხდებოდა, როგორც დოკუმენტაციიდან ჩანს, რაც ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების დასტურია. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები იმგვარდაა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხური კურიკულუმები
- დანართი 114
- დანართი 115
- დანართი 116
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სიქთარვას საჯარო სკოლაში გასულ წელს მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებდა ტრადიციულ თემატურ გეგმას. მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები. მართალია ეს კურიკულუმები ჯერ კიდევ შემუშავების და დახვეწის პროცესშია, თუმცა მასში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს შორის. წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. სკოლა მზადაა, შესთავაზოს მოსწავლეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს.
სკოლაში ტარდება უამრავი პროექტი. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის არაფორმალური აქტივობების მნიშვნელობაზე. მაგალითად, განხორციელდა პროექტები: ,,პატარა ადამიანების დიდი უფლებები“; „შემოდგომის ზეიმი“; “ეძებე მათემატიკის სიყვარულით“-V-VI კლასი; “სიკეთის გაკვეთილი,, - III კლასი .
ზემოთ ხსენებული პროექტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვით მართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. მოსწავლეებში აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა როგორც პროექტებზე ასევე კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე საუბრობს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან

მიღებული განმავითარებელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

დაწყებითი საფეხურის კათედრა, მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად, საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით კათედრა იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
შეფასების ზოგადი სქემა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა გეგმავს შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობას და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს რაც გამჭვირვალობის დასტურია . ამავდროულად, სკოლა გადასულია ელექტრონული ჟურნალის მოხმარებაზე და ყველა მშობელს აქვს საშუალება მთელი სემესტრის განმავლობაში გაეცნოს თავისი შვილის ნიშნებს.
ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:
შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და შემუშავებული შეფასების რუბრიკების ვერიფიკაცია.
შეფასების პროცესის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების წინასწარ შემუშავებული რუბრიკითა და გასაღებით განმეორებითი შეფასება.

მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია - ერთი და იმავე შერმაჯამებელი სამუშაოების პირობებში შექმნილი ნამუშევრების დადებითი შედეგების საერთო რაოდენობის პროცენტის, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებების სრულად შეფასება.

ვერიფიკაციის ფოკუსი

ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ეს შერჩევითი პროცესია; რისკების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება იმ ინსტრუმენტების და შედეგების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა;

წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი.

ვერიფიკატორი

ვერიფიკატორის განსაზღვრა, ასევე, კონკრეტული წლისთვის ვერიფიკაციის მიმართულების, სიხშირისა და პერიოდის დადგენა ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელმაც შეიმუშავა ან მონაწილეობდა სკოლაში შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში;

ვერიფიკატორმა არ უნდა დაუშვას, რომ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არ მოწონება);

ვერიფიკატორს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და სკოლის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულოს;

შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს
დირექტორს;

შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) უნდა შეინახონ შეფასებისა და შემოწმების
(ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

შედეგების გასააანალიზებლად ვერიფიკატორი უზრუნველყოფს, შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერების ხელმისაწვდომობას როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი სკოლისთვის, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

ვერიფიკაციის ანგარიში

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში;

ანგარიში უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური;

ანგარიშში იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი;

ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს;

ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი.

ვერიფიკაციის შედეგები

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება სკოლაში;

განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ მასწავლებლებას, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, უნივერსიტეტის/კოლეჯის წარმომადგენლები და სხვა;

ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები;სკოლა ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე გადახედავს კურიკულუმს და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალების წარმოება სავალდებულოა, სისტემა გამორიცხავს შეფასებების ,,დაკარგვას". მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, რაც ექვემდებარება შენახვას გარკვეული პერიოდით, რომელიც სამ წელზე მეტია. დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს.
ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ანგარიში (სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)
- შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მოსწავლის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახდენს უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლისთვის შექმნილია მხარდამჭერითი და მიმღებლობითი გარემო. კერძოდ კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ აქცენტებს კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სადაც მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების მიხედვით შერჩეულია/შექმნილია კომპლექსური დავალებები. ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის მხარდაჭერისა და მიღწევების ანალიზის საშუალებას იძლევა. ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და ცალკეული აქტივობები, რაც მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერასა და ჩართულობას ხელს უწყობს. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნის კათედრის წევრებს შორის აქტიური თანამშროლობა განხორციელდა რათა გათვალისიწინებული ყოფილიყო მათი სურვილი და ინტერესები. პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნულ პროცესში თითოეული მოსწავლის ინტერესებია გათვალისწინებული, რაც დადებითად აისახება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობასა და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, (გვ:2) რაც გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. კერძოდ, პედაგოგების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადაპტირდება კომპლექსური დავალებები (მაგ: ჩვენი საქართველო), რის მიხედვით ხორციელდება სსსმ მოსწავლის ჩართულობა, სადაც გათვალისწინებულია მზაობა და ინტერესები. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების დროს ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომები, კერძოდ ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის აგებასა და გააზრებას. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით სკოლის/კათედრების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმები, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოება, დირექცია, პედაგოგები ,მშობლები რომლებსაც განსაზღვრული აქვთ თავიანთი ფუნქციები, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე. კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ „სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“.(გვ:3-4), რაც ასევე დასტურდება

პედაგოგებთან გასაუბრებისას, რა დროსაც მათ აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებსა და გამოწვევებს. **ამრიგად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად ახდენენ პოზიტიურ სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას. კერძოდ, სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად ერთმანეთთან თანამშრომლობენ კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში, შეფასების რუბრიკების შექმნაში, საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერა/დასწრების მიხედვით, ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას რაც ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. რაც შეეხება საკლასო დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი და პროექტები, სადაც მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია და ხელს უწყობს მათ თანამშრომლობას(მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები). ამრიგად, აღნიშნული კრიტერიუმი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.DF

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, შექმნილი აქვთ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტები და აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის დახვეწავენ შეფასების მექანიზმს და პრაქტიკაში განსახორციელებელ აქტივობებს მოცემული მიმართულებით. ამ ეტაპზე, მოსწავლეთა მიღწევები იზომება კათედრების შეხვედრებზე, რასაც მოწმობს კათედრის წარმოდგენილი ოქმები და ამ შეხვედრებზე ზიარდება პედაგოგთა ჩატარებული სამუშაო, მიღებული შედეგები. კეთდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რასაც მოწმობს წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტი (შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები). იგეგმება მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, გამოვლენილი პრობლემების დასაძლევად. ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. გაკვეთილზე დასწრების შემდგომ, პედაგოგებს მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით მასწავლებელთა ურთიერთასწრების შაბლონებს, „კრიტიკულ მეგობარს“. კლასის დამრიგებლის მიერ დაწერილი ყოველწლიური დახასიათებაც მოსწავლის ერთ-ერთი შეფასების ფორმაა. სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე ტრენინგების საშუალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

2. სკოლაში შეიქმნა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოახდენს კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმების დანერგვის, განხორციელების, ცვლილების მონიტორინგს. ასევე, გაიზომება კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების, საეტაპო აქტივობების განხორციელება და შეფასება. გამოიკვეთება კონკრეტული საკითხების დამუშავების ფარგლებში, კომპლექსური დავალების შედეგიანობა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. სკოლა ადასტურებს, რომ შუალედურ მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს შესრულების და შეფასების ხარისხი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. სასურველია, მშობელთა ჩართულობისათვის დაიგეგმოს ღია გაკვეთილები, კომპლექსური დავალების საეტაპო აქტივობების განხორციელებისას, რაც მშობელთა ჩართულობას გაზრდის და მოსწავლეთა ბარათებთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საგნის საჭიროების შესაცნობად. მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება მნიშვნელოვანია პროცესის სწორად წარმართვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა. ინტერვიურების პროცესში, კათედრებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრების და შემდგომ სკოლის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- კათედრის სამუშაო გეგმა
- ვერიფიკაციის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ , რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას და შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას , რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

იდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
შეფასება მასწავლებლებს და მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის და პრეზენტაციის, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენებასა და განვითარებაში. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავებაში სამომავლოდ ჩართული იქნებიან მოსწავლეები და მოხდება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, რაც მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სხვადასხვა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: მასწავლებლების დაკვირვება, კოლეგების დაკვირვება, დამრიგებლების, მშობლების, თანაკლასელებისგან. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება და სხვა. რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის; მოსწავლეთა ასაკობრივი, ფსიქო-ემოციური თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა , იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა საშუალებებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის პროცესის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. ამიის დასტურია სკოლის თვითშეფასების ფორმაში არსებული ჩანაწერები. ასევე ჩანს რომ შეფასებისას გამოიყენებენ კონსტრუქტივიზმისა და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს. ი**ნდიკატორი შესაბამისობაში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუს შედეგები
- განმსაზღვრელი და განმავიტრებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად, საუბრების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები რაც გააუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებული იქნება სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად იქნება მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, გამდიდრებული მრავალფეროვანი რესურსებით. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები ითვალისწინებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს აგების, შემუშავების პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამებზე დაყრდნობით. სასკოლო საზოგადოება 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს დახვეწოს და შექმნას მეთოდოლოგიური დოკუმენტი. კათედრა საგნობრივი საკითხების საკლასო სივრცეში დასამუშავებლად და საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული მეთოდიკის გამოყენებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, სადაც გაითვალისწინეს თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

თითოეული პედაგოგი ცდილობს ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩაერთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ისინი, როგორც აღნიშნავენ, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები აქტიურად

მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო მუშაობის პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე . სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება #2 -35 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. (31.07.2023)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი #4 (29.06.2023)

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს ყველა იმ ძირითად პრინციპს რაც მასშია მოთხოვნილი-დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებაზე და სწავლების პროცესი მიმართულია პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ.ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი.ის რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც.ისინი საუბრობენ თუ როგორ მოხდება მომავალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვა მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების სფეროს გათვალისწინებით.მიუხედავად იმსა,რომ სკოლაში არ არის ლაბორატორია,შესაბამისი აღჭურვილობით, მასწავლებელბი იყენებენ ელ.რესურსებს, სადემონსტრაციო ცდებს და ექსპერიმენტებს,ასევე კვლევაზაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს,რომელსაც არ ჭირდება ლაბორატორიული აღჭურვილობა. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ მოწოდებულ,მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას,ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა. მაგ,მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში მუშაობას ან წყვილებში, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და საერთო მიზანზე ორიენტირებულობას.ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუტქი შესაქმენლი როგორიცაა მაკეტი, მოდელი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. ასევე საბაზო საფეხურის თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწინებული თემები და საკითხები. მათ შორის არის სწორად დანახული კავშირი,რაც უზრუნველყოფს ესგ-ს გააზრებულ დანერგავს და საგნობრივი სტანდარტებით მოთხოვნილი მიზნების შედეგებში ასახვას.
ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლაში ვიზიტით და მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის ჩარჩო, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია) იკვეთება, რომ სწვლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. დიფერენცირება ძირითადად როგორც ვიცით ხდება შინაარსის, პროცესის და პროდუქტის. სწორედ ამისი გათვლისწინებით მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. საუბრისას ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც საბუნებისმეტყველო,რომელიმე საგანში აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმენლი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში(ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ).ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სკოლის მზაობა შექმნან ისგ რომელიც დაეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას. ეს ყველაფერი ასევე გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელსაც
ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი ხასიათის ასევე მსხვილ საკითხებზე გათვლილი და სტანდარტის მოთხოვნებს მორგებული. ამით დგინდება, რომ სამომავლოდ სკოლაში შეფასების პროცესი ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმაოდგენს. მასწავლებლებთან საუბრისას ირკვევა,რომ ისინი ქმნიან მიზნის შესაბამის რუბრიკებს, სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აცნობენ მოსწავლეებს და შეფასებისას ცალსახად ეყრდნობიან. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების 4 ძირითადი პრინციპის დაცვას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აქვს გაწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის დანერგვა, შემდგომ მისი მონიტორინგი და შეფასება. ამ დოკუმენტის არსებობა, მასწავლბლებთან გასაუბრების დროს იკვეთება მათი წინარე გამოცდილება საკითხთან მიმართებით და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გაზიარება.
ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი 120-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 112-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 124- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

საბაზო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება, მიუხედევად იმისა, რომ არ იყო „ ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართული სკოლა, ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და კომპლექსური დავალებებით სწავლება დაენერგათ. იყენებდნენ კომპლექსური დავალებების ბანკს და ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (დანართი 132, 133,134, 135) არის საბაზო საფეხურზე ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები, რაც ადასტურებს სკოლის წარმატებულ პრაქტიკას. „ნორჩ ფიზიკოსთა კლუბის“ ფუნქციონირება, მის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრა თემაზე ,,მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა“, პრეზენტაცია ბულინგზე, აქტივობა ,,ქალების როლი მსოფლიოში“, პრეზენტაცია „მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთი“ და სხვა ღონიძიებები ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას, მაღალი

სააზროვნო უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის გამოცდილება, კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების ფორმაში წერია, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. საბაზო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. აღსანიშნავია ასევე კლასის საათის გეგმა, სადაც საკითხთა ჩამონათვალში აქენიტი კეთდება სწავლის სწავლაზე (მაგ.: როგორ ვსწავლობთ, როგორ ვისწალოთ უკეთ?; თვითგანვითარება), მოსწავლის პიროვნულ განვითრებაზე.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროქტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობებიდან ჩანს, რომ მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. სამივე ცოდნის გამოყენებას უზრუნველყოფდა პრეზენტაცია

ბულინგზე, აქტივობა ,,ქალების როლი მსოფლიოში“, პროექტი ,,პატარების პარლამენტი", პროექტი ,,პატარა ადამიანების დიდი უფლებები“. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. პროექტული სწავლების მხრივ სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა. კერძოდ, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი - CCIIR მხარდაჭერით მეცხრე კლასში პროექტის განხორციელება: გენდერული პასუხისმგებლობის მქონე სწავლება თანაბარი განათლების შესაძლებლობისთვის; ნორჩ ფიზიკოსთა კლუბის ფარგლებში, შეხვედრა თემაზე ,,მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა“. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები იმგვარდაა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 132,
- დანართი 133,
- დანართი 134,
- დანართი 135
- დანართი 143 - კლასის საათის გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმები. მართალია ეს კურიკულუმები ჯერ კიდევ შემუშავების და დახვეწის პროცესშია, თუმცა კათედრებს საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს სკოლა, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
სკოლის ფორმალური და არაფორმალური გარემო ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ მხარდაჭერას. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესით მოსწავლეს პიროვნული ზრდის საშუალება ეძლევა. სკოლის მიერ დაგეგმილი თითოეული აქტივობა ემსახურება მოსწავლეების თვითცნობიერების ამაღლებას, თვითრეგულაციის უნარის ჩამოყალიბებას, პასუხისმგებლობის აღებას, აქტიურ მოქალაქედ ფორმირებას. სწავლების პროცესი უვითარებს მოსწავლეს აუცილებელ უნარს- საკუთარი ემოციების მართვას, საკუთარი თავის მოსმენის, ემპათიის უნარის ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება უამრავი პროექტი(მაგალითად, მედია პროექტი ,,ეტალონი", ,,ტვინების ბრძოლა", „ჩვენ ვგმობთ ოკუპაციას" და სხვა), სკოლაში განხორციელებული თითოეული პროექტის შესრულებისას უმთავრესი როლი აქვს ეფექტურ კომუნიკაციას, გუნდურობას, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას. მოსწავლის ფსიქო -სოციალურ განვითარებას ხელს უწყობს დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, სხვადასხვა კლუბების ფუნქციონირება. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
Sკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ ჰოლისტური განვითარების მიხედვით, მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის

კონსტრუქტორი, პედაგოგი კი-დამხმარე; ცოდნა ყალიბდება ინდივიდუალური გამოცდილებით, ცოდნა კონსტრუირდება მოსწავლის მიერ, სწავლა არის თანამშრომლობითი და ურთიერთობაზე დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, შეფასების სისტემები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასწავლო გეგმაში ირჩევა აქტივობები და მეთოდები, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას. გათვალისწინებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებები: კითხვების დასმა, იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, პრობლემის დანახვა სხვადასხვა მხრიდან, როლური თამაში. გათვალისწინებულია, რომ განმავითარებელი შეფასება უნდა იყოს მხარდამჭერი, წამახალისებელი. კათედრები შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წახალისებაზე, განვითარებაზე .აუცილებელია მოსწავლე შეფასდეს არა მარტო საგანში არამედ შეფასდეს მისი მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების პროცესი. ამაში ხელს შეუწყობს სასკოლო ღონისძიებებში ჩართულობა , აქტიური მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები რომელიც შეესაბამება აღნიშნულ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაც, უპირველეს ყოვლისა, დაცულია შეფასების რუბრიკების არსებობით. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა თემის/საკითხის, დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რომელთაც გზადაგზა აცნობენ მოსწავლეებს. სკოლაში დიდი ხანია დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები თავად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკის შექმნაში. რუბრიკებში კრიტერიუმები აღებულია სტანდარტის ინდიკატორებიდან, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიექტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:
შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და შემუშავებული შეფასების რუბრიკების ვერიფიკაცია.
შეფასების პროცესის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების წინასწარ შემუშავებული რუბრიკითა და გასაღებით განმეორებითი შეფასება.

მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია - ერთი და იმავე შერმაჯამებელი სამუშაოების პირობებში შექმნილი ნამუშევრების დადებითი შედეგების საერთო რაოდენობის პროცენტის, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებების სრულად შეფასება.

ვერიფიკაციის ფოკუსი

ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ეს შერჩევითი პროცესია; რისკების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება იმ ინსტრუმენტების და შედეგების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა;

წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი.

ვერიფიკატორი

ვერიფიკატორის განსაზღვრა, ასევე, კონკრეტული წლისთვის ვერიფიკაციის მიმართულების, სიხშირისა და პერიოდის დადგენა ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელმაც შეიმუშავა ან მონაწილეობდა სკოლაში შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში;

ვერიფიკატორმა არ უნდა დაუშვას, რომ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არ მოწონება);

ვერიფიკატორს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და სკოლის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულოს;

შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს
დირექტორს;

შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) უნდა შეინახონ შეფასებისა და შემოწმების
(ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

შედეგების გასააანალიზებლად ვერიფიკატორი უზრუნველყოფს, შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერების ხელმისაწვდომობას როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი სკოლისთვის, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

ვერიფიკაციის ანგარიში

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში;

ანგარიში უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური;

ანგარიშში იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი;

ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს;

ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი.

ვერიფიკაციის შედეგები

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება სკოლაში;

განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ მასწავლებლებას, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, უნივერსიტეტის/კოლეჯის წარმომადგენლები და სხვა;

ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები;სკოლა ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე გადახედავს კურიკულუმს და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება სკოლაში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ინახება მატერიალური სახით ესგ-ს მოთხოვნის მიხედვით.

იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალების წარმოება სავალდებულოა, სისტემა გამორიცხავს შეფასებების ,,დაკარგვას". მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, რაც ექვემდებარება შენახვას გარკვეული პერიოდით, რომელიც სამ წელზე მეტია. დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- Ანგარიში (სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)
- შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მოსწავლის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახდენს უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლისთვის შექმნილია მხარდამჭერითი და მიმღებლობითი გარემო. კერძოდ კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სადაც მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების მიხედვით შერჩეულია/შექმნილია კომპლექსური დავალებები. ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის მხარდაჭერისა და მიღწევების ანალიზის საშუალებას იძლევა. ასევე, იდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და ცალკეული აქტივობები, რაც მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერასა და ჩართულობას ხელს უწყობს. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნის კათედრის წევრებს შორის აქტიური თანამშროლობა განხორციელდა რათა გათვალისიწინებული ყოფილიყო მათი სურვილი და ინტერესები. პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნულ პროცესში თითოეული მოსწავლის ინტერესებია გათვალისწინებული, რაც დადებითად აისახება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობასა და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, (გვ:2) რაც გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. კერძოდ, პედაგოგების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადაპტირდება კომპლექსური დავალებები (მაგ: მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია), რის მიხედვით ხორციელდება სსსმ მოსწავლის ჩართულობა, სადაც გათვალისწინებულია მზაობა და ინტერესები. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორცილების დროს ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომები, კერძოდ ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის აგებასა და გააზრებას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით სკოლის/კათედრების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმები, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოება, დირექცია, პედაგოგები, მშობლები რომლებსაც განსაზღვრული აქვთ თავიანთი ფუნქციები, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე. კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ „სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“.(გვ:3-4), რაც ასევე დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებისას, რა დროსაც მათ აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებსა და გამოწვევებს. **ამრიგად აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად ახდენენ პოზიტიურ სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას. კერძოდ, სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად ერთმანეთთან თანამშრომლობენ კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში, შეფასების რუბრიკების შექმნაში, საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერა/დასწრების მიხედვით, ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას რაც ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. რაც შეეხება საკლასო დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი და პროექტები, სადაც მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია და ხელს უწყობს მათ თანამშრომლობას (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები). **ამრიგად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.F

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, შექმნილი აქვთ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტები და აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის დახვეწავენ შეფასების მექანიზმს და პრაქტიკაში განსახორციელებელ აქტივობებს მოცემული მიმართულებით. ამ ეტაპზე, მოსწავლეთა მიღწევები იზომება კათედრების შეხვედრებზე, რასაც მოწმობს კათედრის წარმოდგენილი ოქმები და ამ შეხვედრებზე ზიარდება პედაგოგთა ჩატარებული სამუშაო, მიღებული შედეგები. კეთდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რასაც მოწმობს წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტი (შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები). იგეგმება მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, გამოვლენილი პრობლემების დასაძლევად. ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. გაკვეთილზე დასწრების შემდგომ, პედაგოგებს მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით მასწავლებელთა ურთიერთასწრების შაბლონებს, „კრიტიკულ მეგობარს“. კლასის დამრიგებლის მიერ დაწერილი ყოველწლიური დახასიათებაც მოსწავლის ერთ-ერთი შეფასების ფორმაა. სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე ტრენინგების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში შეიქმნა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოახდენს კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმების დანერგვის, განხორციელების, ცვლილების მონიტორინგს. ასევე, გაიზომება კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების, საეტაპო აქტივობების განხორციელება და შეფასება. გამოიკვეთება კონკრეტული საკითხების დამუშავების ფარგლებში, კომპლექსური დავალების შედეგიანობა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. სკოლა ადასტურებს, რომ შუალედურ მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს შესრულების და შეფასების ხარისხი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. სასურველია, მშობელთა ჩართულობისათვის დაიგეგმოს ღია გაკვეთილები, კომპლექსური დავალების საეტაპო აქტივობების განხორციელებისას, რაც მშობელთა ჩართულობას გაზრდის და მოსწავლეთა ბარათებთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საგნის საჭიროების შესაცნობად. მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება მნიშვნელოვანია პროცესის სწორად წარმართვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა. ინტერვიურების პროცესში, კათედრებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრების და შემდგომ სკოლის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- კათედრის სამუშაო გეგმა
- კერიფიკაციის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
9.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ , რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას და შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას , რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

იდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
შეფასება მასწავლებლებს და მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის და პრეზენტაციის, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენებასა და განვითარებაში. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავებაში სამომავლოდ ჩართული იქნებიან მოსწავლეები და მოხდება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, რაც მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სხვადასხვა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: მასწავლებლების დაკვირვება, კოლეგების დაკვირვება, დამრიგებლების, მშობლების, თანაკლასელებისგან. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება და სხვა. რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის; მოსწავლეთა ასაკობრივი, ფსიქო-ემოციური თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა , იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა საშუალებებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის პროცესის შეფასება

და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. ამიის დასტურია სკოლის თვითშეფასების ფორმაში არსებული ჩანაწერები. ასევე ჩანს რომ შეფასებისას გამოიყენებენ კონსტრუქტივიზმისა და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს. ი**ნდიკატორი შესაბამისობაში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუს შედეგები
- განმსაზღვრელი და განმავიტრებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად, საუბრების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს

კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები რაც გაუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებული იქნება სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად იქნება მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, გამდიდრებული მრავალფეროვანი რესურსებით. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავება იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პედაგოგები ითვალისწინებენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს აგების, შემუშავების პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამებზე დაყრდნობით. სასკოლო საზოგადოება 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს დახვეწოს და შექმნას მეთოდოლოგიური დოკუმენტი. კათედრა საგნობრივი საკითხების საკლასო სივრცეში დასამუშავებლად და საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული მეთოდიკის გამოყენებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

- კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, სადაც გაითვალისწინეს თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება/ასახვის დასტურია , მაგალითად, მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

თითოეული პედაგოგი ცდილობს ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩაერთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ისინი, როგორც აღნიშნავენ, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ისე გეგმავენ სამომავლო მუშაობის პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე . სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება #2 -35 კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. (31.07.2023);
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;
- რესურსი - 12 - კათედრის ოქმი, გადაწყვეტილება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუ;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები.
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი #4 (29.06,2023)
- რესურსი 5 - კურიკულუმის ჩარჩო კლასების მიხედვით;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს ყველა იმ ძირითად პრინციპს რაც მასშია მოთხოვნილი-დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებაზე და სწავლების პროცესი მიმართულია პიროვნული განვითარების ხელშეწყობისკენ.ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი.ის რომ მოსწავლე სწავლა-სწავლების მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც.ისინი საუბრობენ თუ როგორ მოხდება მომავალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვა მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების სფეროს გათვალისწინებით.მიუხედავად იმსა,რომ სკოლაში არ არის ლაბორატორია,შესაბამისი აღჭურვილობით, მასწავლებელბი იყენებენ ელ.რესურსებს, სადემონსტრაციო ცდებს და ექსპერიმენტებს,ასევე კვლევაზაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს,რომელსაც არ ჭირდება ლაბორატორიული აღჭურვილობა. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე.**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სკოლის მიერ მოწოდებულ,მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას,ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, ნებელობა და მოქალაქეობა. მაგ,მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ისინი ხშირად კლასის ორგანიზების ფორმად ირჩევენ ჯგუფებში მუშაობას ან წყვილებში, ეს კი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და საერთო მიზანზე ორიენტირებულობას.ხშირად მოსწავლეებს აქვთ ისეთი პროდუტქი შესაქმენლი როგორიცაა მაკეტი, მოდელი ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. ასევე საბაზო საფეხურის თითოეული საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია გრძევადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტით გათვალისიწინებული თემები და საკითხები. მათ შორის არის სწორად დანახული კავშირი,რაც უზრუნველყოფს ესგ-ს გააზრებულ დანერგავს და საგნობრივი სტანდარტებით მოთხოვნილი მიზნების შედეგებში ასახვას.
ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლაში ვიზიტით და მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (კურიკულუმის ჩარჩო, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია) იკვეთება, რომ სწვლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. დიფერენცირება ძირითადად როგორც ვიცით ხდება შინაარსის, პროცესის და პროდუქტის. სწორედ ამისი გათვლისწინებით მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. საუბრისას ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც საბუნებისმეტყველო საგნებში აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმენლი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში(ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ).ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სკოლის მზაობა შექმნან ისგ რომელიც დაეფუძნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას. ეს ყველაფერი ასევე გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელსაც. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი ხასიათის ასევე მსხვილ საკითხებზე გათვლილი და სტანდარტის მოთხოვნებს მორგებული. ამით დგინდება, რომ სამომავლოდ სკოლაში შეფასების პროცესი ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმაოდგენს. მასწავლებლებთან საუბრისას ირკვევა,რომ ისინი ქმნიან მიზნის შესაბამის რუბრიკებს, სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე. აცნობენ მოსწავლეებს და შეფასებისას ცალსახად ეყრდნობიან. ეს კი უზრუნველყოფს შეფასების 4 ძირითადი პრინციპის დაცვას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიაში აქვს გაწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის დანერგვა, შემდგომ მისი მონიტორინგი და შეფასება. ამ დოკუმენტის არსებობა, მასწავლბლებთან გასაუბრების დროს იკვეთება მათი წინარე გამოცდილება საკითხთან მიმართებით და იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დაგეგმვის პროცესში მოხდება წინარე გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი 120-განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 112-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დანართი 124- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
საშუალო საფეხურის კათედრაზე კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება, მიუხედევად იმისა, რომ არ იყო „ ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში ჩართული სკოლა, ცდილობდნენ სიახლეებს თავად გასცნობოდნენ და კომპლექსური დავალებებით სწავლება დაენერგათ. ახორციელებდნენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, თუმცა სისტემური სახე არ ჰქონდა, გეგმავენ ახალ სასწავლო წელს უფრო მეტი კომპლექსური დავალების განხორციელებას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (დანართი 150, 151,152, 153) არის საშუალო საფეხურზე ჩატარებული მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები, რაც ადასტურებს სკოლის წარმატებულ პრაქტიკას. მეათე კლასის მათემატიკის კომპლექსური დავალება თემაზე ,,კლასიფიკაციის მაგალითები“, საკონკურსო პროექტი ვინ უკეთ იცის „დიდოსტატის მარჯვენა“, ინტელექტუალური თამაშის ,,რა, სად, როდის“ და სხვა ღონიძიებები ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის გამოცდილება, კომპლექსური დავალებები და პროექტული სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა ადასტურებს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში შერჩეული თემები არის მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, როგორც თვითშეფასების ფორმაში წერია, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი აქტივობები იგეგმება. 2023-24 სასწავლო წლისთვის შექმნილი და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირების საშუალებას მისცემს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. საშუალო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. დოკუმენტაციაში არის გაკვეთილის ბოლოს მოსწავლის თვითშეფასების სქემა, რაც მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ინსტრუმენტია. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სასწავლო პროცესის კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტული სწავლებით წარმართვა უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. სკოლის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობებიდან ჩანს, რომ მათზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენება, პრობლემის ან გამოწვევის ანალიზი და შემოქმედებიად გადაწყვეტა. ამას ცხადყოფს მე-საგანში სახვთი და გამოყენებთი ხეოვნება განახორციელებული პროექტი თემაზე: საქართველოს რომელიმე მხარეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა; მეათე კლასის მათემატიკის კომპლექსური დავალება თემაზე ,,კლასიფიკაციის მაგალითები“ და საკონკურსო პროექტი ვინ უკეთ იცის „დიდოსტატის მარჯვენა“. წარმოდგენილი დოკუმეტაციისა და ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტული სწავლება მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელებით და პროექტული სწავლებით ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. პროექტული სწავლების მხრივ სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები იმგვარდაა დაგეგმილი, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 150
- დანართი 151
- დანართი 152
- დანართი 153
- დანართი 158- შეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმები. წარმოდგენილია სხვადასხვა კლასებსა თუ საგნებში კომპლექსური დავალებები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შესაბამისად, სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, რადგანაც სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებსა და განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს შორის კავშირი არის დანახული. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სწავლა მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესია. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. სკოლის ფორმალური და არაფორმალური გარემო მოსწავლეებს უყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას, სტრესული სიტუაციის მართვის უნარს, ემპათიურობას, რაც გამოადგება მათ ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრაში. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების , სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. სკოლაში ტარდება უამრავი პროექტი, მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის არაფორმალური აქტივობების მნიშვნელობაზე. მაგალითად, განხორციელდა პროექტები: ტრადიციული კონკურსი მე-12 კლასელთათვის- ,,ვინ უკეთ იცის დიდოსტატის მარჯვენა"; ,, არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი" . უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვით მართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი.

ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ჩანს, რომ კათედრა შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაც, უპირველეს ყოვლისა, დაცულია შეფასების რუბრიკების არსებობით. პედაგოგები სასწავლო წლის დასაწყისში ადგენენ და კათედრაზე განიხილავენ სხვადასხვა თემის/საკითხის, დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს, რომელთაც გზადაგზა აცნობენ მოსწავლეებს. სკოლაში დიდი ხანია დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეები თავად მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკის შექმნაში. რუბრიკებში კრიტერიუმები აღებულია სტანდარტის ინდიკატორებიდან . შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. შეფასების რუბრიკები

და კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიექტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვას საჯარო სკოლაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და შემუშავებული შეფასების რუბრიკების ვერიფიკაცია.

შეფასების პროცესის ვერიფიკაცია - შემაჯამებელი სამუშაოების წინასწარ შემუშავებული რუბრიკითა და გასაღებით განმეორებითი შეფასება.

მტკიცებულებების (შესრულებული შემაჯამამებელი სამუშაოების) ვერიფიკაცია - ერთი და იმავე შერმაჯამებელი სამუშაოების პირობებში შექმნილი ნამუშევრების დადებითი შედეგების საერთო რაოდენობის პროცენტის, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებების სრულად შეფასება.

ვერიფიკაციის ფოკუსი

ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ეს შერჩევითი პროცესია; რისკების ანალიზის საფუძველზე ხორცილდება იმ ინსტრუმენტების და შედეგების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა;

წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი.

ვერიფიკატორი

ვერიფიკატორის განსაზღვრა, ასევე, კონკრეტული წლისთვის ვერიფიკაციის მიმართულების, სიხშირისა და პერიოდის დადგენა ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად, ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელმაც შეიმუშავა ან მონაწილეობდა სკოლაში შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში;

ვერიფიკატორმა არ უნდა დაუშვას, რომ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არ მოწონება);

ვერიფიკატორს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და სკოლის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულოს;

შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს
დირექტორს;

შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) უნდა შეინახონ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

შედეგების გასააანალიზებლად ვერიფიკატორი უზრუნველყოფს, შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერების ხელმისაწვდომობას როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი სკოლისთვის, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი).

ვერიფიკაციის ანგარიში

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში;

ანგარიში უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური;

ანგარიშში იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი;

ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს;

ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი.

ვერიფიკაციის შედეგები

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება სკოლაში;

განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ მასწავლებლებას, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, უნივერსიტეტის/კოლეჯის წარმომადგენლები და სხვა;

ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები;სკოლა ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე გადახედავს კურიკულუმს და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება სკოლაში, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები ინახება მატერიალური სახით ესგ-ს მოთხოვნის მიხედვით.

იქიდან გამომდინარე, რომ 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალების წარმოება სავალდებულოა, სისტემა გამორიცხავს შეფასებების ,,დაკარგვას". მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, რაც ექვემდებარება შენახვას გარკვეული პერიოდით, რომელიც სამ წელზე მეტია. დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ანგარიში (სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)
- შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მოსწავლის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით სკოლა ახდენს უსაფრთხო და თავისუფალი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლისთვის შექმნილია მხარდამჭერითი და მიმღებლობითი გარემო. კერძოდ კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერას, რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სადაც მოსწავლის მიღწევების, სურვილებისა და შესაძლებლობების მიხედვით შერჩეულია/შექმნილია კომპლექსური დავალებები. ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის მხარდაჭერისა და მიღწევების ანალიზის საშუალებას იძლევა. ასევე, იდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და ცალკეული აქტივობები, რაც მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერასა და ჩართულობას ხელს უწყობს. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნის კათედრის წევრებს შორის აქტიური თანამშრომლობა განხორციელდა რათა გათვალისიწინებული ყოფილიყო მათი სურვილი და ინტერესები. პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნულ პროცესში თითოეული მოსწავლის ინტერესებია გათვალისწინებული, რაც დადებითად აისახება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშომლობასა და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, (გვ:2) რაც გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. კერძოდ, პედაგოგების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ადაპტირდება კომპლექსური დავალებები (მაგ: მოქალაქეობა, გეოგრაფია და ისტორია), რის მიხედვით ხორციელდება სსსმ მოსწავლის ჩართულობა, სადაც გათვალისწინებულია მზაობა და ინტერესები. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების დროს ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომები, კერძოდ ხელი ეწყობა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის აგებასა და გააზრებას. **შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით სკოლის/კათედრების მიერ შექმნილია სასკოლო კურიკულუმები, რომლის შემუშავების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოება, დირექცია, პედაგოგები, მშობლები რომლებსაც განსაზღვრული აქვთ თავიანთი ფუნქციები, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე. კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ „სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას“.(გვ:3-4), რაც ასევე დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებისას, რა დროსაც მათ აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, რჩევებსა და გამოწვევებს. **ამრიგად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად ახდენენ პოზიტიურ სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებას. კერძოდ, სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად ერთმანეთთან თანამშრომლობენ კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში, შეფასების რუბრიკების შექმნაში, საგაკვეთილო პროცესში მხარდაჭერა/დასწრების მიხედვით, ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას რაც ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. რაც შეეხება საკლასო დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს ამას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი და პროექტები, სადაც მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია და ხელს უწყობს მათ თანამშრომლობას (მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები). **ამრიგად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსსმ მოსწავლის ისგ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

3.2.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, შექმნილი აქვთ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტები და აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის დახვეწავენ შეფასების მექანიზმს და პრაქტიკაში განსახორციელებელ აქტივობებს მოცემული მიმართულებით. ამ ეტაპზე, მოსწავლეთა მიღწევები იზომება კათედრების შეხვედრებზე, რასაც მოწმობს კათედრის წარმოდგენილი ოქმები და ამ შეხვედრებზე ზიარდება პედაგოგთა ჩატარებული სამუშაო, მიღებული შედეგები. კეთდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რასაც მოწმობს წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტი (შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები). იგეგმება მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული აქტივობები, გამოვლენილი პრობლემების დასაძლევად. ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. გაკვეთილზე დასწრების შემდგომ, პედაგოგებს მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით მასწავლებელთა ურთიერთასწრების შაბლონებს, „კრიტიკულ მეგობარს“. კლასის დამრიგებლის მიერ

დაწერილი ყოველწლიური დახასიათებაც მოსწავლის ერთ-ერთი შეფასების ფორმაა. სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე ტრენინგების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში შეიქმნა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოახდენს კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმების დანერგვის, განხორციელების, ცვლილების მონიტორინგს. ასევე, გაიზომება კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების, საეტაპო აქტივობების განხორციელება და შეფასება. გამოიკვეთება კონკრეტული საკითხების დამუშავების ფარგლებში, კომპლექსური დავალების შედეგიანობა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. სკოლა ადასტურებს, რომ შუალედურ მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით მუშაობას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს შესრულების და შეფასების ხარისხი. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. სასურველია, მშობელთა ჩართულობისათვის დაიგეგმოს ღია გაკვეთილები, კომპლექსური დავალების საეტაპო აქტივობების განხორციელებისას, რაც მშობელთა ჩართულობას გაზრდის და მოსწავლეთა ბარათებთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საგნის საჭიროების შესაცნობად. მშობელთა მხრიდან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება მნიშვნელოვანია პროცესის სწორად წარმართვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა. ინტერვიურების პროცესში, კათედრებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრების და შემდგომ სკოლის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- კათედრის სამუშაო გეგმა
- კერიფიკაციის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავების ბრძანება და დოკუმენტი
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ , რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა ინსტრუმენტები. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის უფრო მეტად გაძლიერებას და შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას , რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

იდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
შეფასება მასწავლებლებს და მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა უნარების, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, მსჯელობის და პრეზენტაციის, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენებასა და განვითარებაში. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავებაში სამომავლოდ ჩართული იქნებიან მოსწავლეები და მოხდება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, რაც მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სხვადასხვა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს: მასწავლებლების დაკვირვება, კოლეგების დაკვირვება, დამრიგებლების, მშობლების, თანაკლასელებისგან. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება და სხვა. რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის; მოსწავლეთა ასაკობრივი, ფსიქო-ემოციური თავისებურებების, მზაობის, ინტერესების და საჭიროებების, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული ხედვა , იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა საშუალებებით გამოავლინონ სასკოლო სასწავლო გეგმის პროცესის შეფასება და დამუშავება, მიღებული შედეგების გათვალისწინება. ამიის დასტურია სკოლის თვითშეფასების ფორმაში არსებული ჩანაწერები. ასევე ჩანს რომ შეფასებისას გამოიყენებენ კონსტრუქტივიზმისა და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს. **ინდიკატორი შესაბამისობაში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუს შედეგები
- განმსაზღვრელი და განმავიტრებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლაში, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად, საუბრების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს

კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები რაც გაუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებული იქნება სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად იქნება მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, გამდიდრებული მრავალფეროვანი რესურსებით. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

21.09.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: